

25%-იანი კონცენტრატი ღორისთვის



რა არის PIG MAX – 25% კონცენტრატი?

Pig Max - 25% კონცენტრატი პროტეინოვანი საკვები დანამატია, რომელიც შეიცავს ყველა აუცილებელ ვიტამინს, მაკრო და მიკრო ელემენტს, შეუცვლელ ამინომჟავას და სხვა სპეციალურ დანამატებს, რაც აუცილებელია ჯანმრთელი ღორის გამოსაზრდელად.

Pig Max - 25% კონცენტრატი მორგებულია ღორის კონკრეტულ წონაზე, ასაკზე და მდგომარეობაზე;

- Pig Max დედა ღორი - 25% კონცენტრატი
- Pig Max სტარტი (12-25 კგ) - 25% კონცენტრატი
- Pig Max გროუერი (25-65 კგ) - 25% კონცენტრატი
- Pig Max ფინიში (65-110 კგ) - 25% კონცენტრატი
- Pig Max უნივერსალი - 25% კონცენტრატი

რატომ PIG MAX – 25% კონცენტრატი?

Pig Max – 25% კონცენტრატი ფერმერს საშუალებას აძლევს მიიღოს დაბალანსებული და ჯანსაღი საკვები ცხოველთა გამოსაკვებად;

Pig Max – 25% კონცენტრატით ფერმერს აქვს საშუალება მის ხელთ არსებული ნედლეულის (მარცვლეული) გამოყენებით, შეღავათიან ფასად დაამზადოს ღორის მაღალეფექტური საკვები;

Pig Max – 25% კონცენტრატი შეიცავს ყველა აუცილებელ საზრდო ნივთიერებას, რაც აუცილებელია ჯანსაღი ღორის გამოსაზრდელად.

მოხმარების წესი:

Pig Max – 25% კონცენტრატები პროტეინოვან-ვიტამინოვანი და მინერალური ბაზაა, რომელიც გამოიყენება ფერმერის ხელთ არსებულ მარცვლეულთან გადასარევიდ და კომბინირებული საკვების დასამზადებლად.

Pig Max - სტარტის და გროუერის საკვები ღორს (გოგს) მიაწოდეთ შეუზღუდავად, მშრალი სახით, ყოველგვარი დანამატების გარეშე.

Pig Max - ფინიში ღორს მიაწოდეთ დოზირებულად 2,5-3-კგ დღეში, მშრალი სახით ყოველგვარი დანამატების გარეშე.

Pig Max - მაკე ღორის და დედა ღორის საკვები გამოიყენეთ რეკომენდირებული ცხრილების მიხედვით.

საერთო რაციონში Pig Max კონცენტრატების ჩართულობა 25%-ს შეადგენს.

სარეკომენდაციო რაციონები:

Pig Max დედა ღორი - 25% კონცენტრატი				
	რაციონი I	რაციონი II	რაციონი III	რაციონი IV
Pig Max დედა ღორი 25% კონცენტრატი	25%	25%	25%	25%
სიმინდი	25%	25%	25%	30%
ხორბალი	25%	50%		15%
ქერი	25%		50%	15%
ქატო				15%

Pig Max სტარტი - 25% კონცენტრატი				
	რაციონი I	რაციონი II	რაციონი III	რაციონი IV
Pig Max სტარტი 25% კონცენტრატი	25%	25%	25%	25%
სიმინდი	25%	25%	25%	25%
ხორბალი	25%		50%	20%
ქერი	25%	50%		20%
ქატო				10%

Pig Max გროუერი - 25% კონცენტრატი				
	რაციონი I	რაციონი II	რაციონი III	რაციონი IV
Pig Max გროუერი 25% კონცენტრატი	25%	25%	25%	25%
სიმინდი	25%	25%	25%	35%
ხორბალი	25%		50%	10%
ქერი	25%	50%		10%
ქატო				20%

Pig Max ფინიში - 25% კონცენტრატი				
	რაციონი I	რაციონი II	რაციონი III	რაციონი IV
Pig Max ფინიში 25% კონცენტრატი	25%	25%	25%	25%
სიმინდი	25%	25%	25%	20%
ხორბალი	25%		50%	12,5%
ქერი	25%	50%		12,5%
ქატო				30%

კვების რეკომენდაციები:

- ყურადღება მიაქციეთ, რომ მარცვლეული კარგად დაიფქვას და კონცენტრატთან კარგად გადარიოს.
- ღორს მუდმივად უნდა ჰქონდეს წვდომა სუფთა სასმელ წყალთან.

გამოყენებული ინგრედიენტები:

Trouw Nutrition-ის მიერ წარმოებული უმაღლესი ხარისხის Maxcare პრემიქსი, სიმინდი, ხორბალი, სოიოს შროტი, მგესუმზირის შროტი, ქერი და სხვა ცენარეული წარმოშობის ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობით.

შენახვის ვადა: დამზადებიდან 4 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

შენახვის წესი: მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.

შეფუთვა: 25 კგ-პოლიპროპილენის ორმაგი ტომარა.